№331 2016 წლის 25 თებერვალი ქ. თბილისი

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების მოწონებისა და გრანტების გაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების საფუძველზე:

ა) მოწონებულ იქნეს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და ა(ა)იპ – საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ (ს/ნ 204874421) შორის გასაფორმებელი საგრანტო ხელშეკრულების პროექტი სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისა და სპორტის სფეროში მოღვაწეთათვის (ასევე მათი ოჯახის წევრებისთვის) ყოველთვიურად თანხის გაცემის თაობაზე;

ბ) საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიეცეს თანხმობა, რომ ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით

გათვალისწინებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული თანხა გრანტის სახით გასცეს სპორტულ ორგანიზაციებსა და ფიზიკურ პირებზე.

2. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ ამ განკარგულების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გრანტების გაცემის შემთხვევების მიმართ არ გავრცელდეს „აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი დაწესებულებებისა და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ გრანტებთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 14 მარტის №126 დადგენილების 1^1 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მისი მოქმედება ვრცელდება 2016 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**